სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

66036733224012

66036733224012

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120916390

N120916390

რეგისტრაციის თარიღი

31.08.2012 წ

ნოტარიუსი: ირინა ნანობაშვილი
მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.#1/ტოლსტოის ქ. #5 (ვორონცოვის მოედანი)
ტელეფონი: + 995(32)2951709 მობილური ტელ: 599 509 803

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

2012 (ორიათასთორმეტი) წლის 31 (ოცდათერთმეტი) აგვისტოს, მე, ნოტარიუსს ირინე ნანობაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, მ.წინამძღვრიშვილის №1/ტოლსტოის №5, მომმართა: **რევაზ ნაცვლიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს მაგელანი-ს დირექტორი** და მოითხოვა რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **რევაზ ნაცვლიშვილმა 28.05.1980 წელს თბილისში,** მცხ.თბილისი, ფალიაშვილის 69, ბინა №10, მოქალაქის ელექტრონული პირადობის მოწმობა ბარათის №11IC92385, პირადი №01031000891, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 15.05.2012 წელს, როგორც შპს "მაგელანი"-ს (საიდენტიფიკაციო №202165236) დირექტორმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. რის შემდგომ, მარწმუნებელმა განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ რწმუნებულებას.

რწმუნებულება
2012 (ორიათასთორმეტი) წლის 31 (ოცდაათი) აგვისტოს,

მე, რევაზ ნაცვლიშვილი 28.05.1980 წელს თბილისში, პირადი №01031000891, როგორც შპს "მაგელანი"-ს (საიდენტიფიკაციო 202165236) დირექტორი - შემდგომში "მარწმუნებელი"

უფლებამოსილებას ვანიჭებ: თენგიზ ესიავას, დაბ. 04.01.1982 წელს აბაშაში, მცხ. აბაშა, კ. გამსახურდიას ქ. №38, პ/მ №დ 1077157, პ.№02001003670, გაც. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს აბაშის სამს. მიერ 25.09.2007 წელს.- შემდგომში "რწმუნებული"
იყოს ჩემი, როგორც შპს "მაგელანი"-ს დირექტორის წარმოადგენელი ქ. თბილისის მერიაში, ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, საკუთრების აღიარების კომისიაში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მიწის მართვის სამსახურში; მოახდინოს შპს "მაგელანი"-ს კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გამზირი დავით აღმაშენებლი №106, სართული I, - მიწის (უძრავი) ქონების საკადასტრო კოდი №01.13.08.007.007.01.563 - ფართის დაზუსტება (აზომვა) და/ან ცვლილებების რეგისტრაციასთან დაკავშირებით შეასრულოს ყველა მოქმედება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. მიმართოს განცხადებით, წააბაროს და ხელზე მიიღოს ამონაწერები, აზომვითი ნახაზები, ცნობები, მოწმობები, ასლები და სხვა დოკუმენტაცია. წარმოადგინოს შპს "მაგელანის" ინტერესები აზომვითი ნახაზის, პროექტის შედგენისას, წააბაროს აზომვითი სამუშაოები, მიიღოს არქიტექტურულ-დაგეგმარებითი დავალება, მოამზადოს სამშენებლო პროექტი, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია ქ. თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებთან, აიღოს მშენებლობის ნებართვა, აწარმოოს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, გადაიხადოს შპს სახელით მოსაკრებლები და შეასრულოს ყველა ის ფორმალობები, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან და მოაწეროს ხელი ჩემს, როგორც შპს "მაგელანი"-ს დირექტორის მაგივრად. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია შპს უფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად. "რწმუნებულს" – თენგიზ ესიავას უფლება არ აქვს აღნიშნული რწმუნებულება მთლიანად და/ან ნაწილობრივ გადაანდოს სხვა პირს. **რწმუნებულება გაცემულია ვადით 2013 (ორიათას ცამეტი) წლის 31 (ოცდათერთმეტი) მარტამდე.** წინამდებარე რწმუნებულება შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის ირინე ნანობაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური – 10.00 (ათი) ლარი, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №520 დადგენილების 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, აგრეთვე, ელ. სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური -- 2 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით), ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად. სულ გადახდილია 12.00 (თორმეტი) ლარი.

მარწმუნებელი _____
რევაზ ნაცვლიშვილი, შპს "მაგელანი"-ს დირექტორი

ნოტარიუსი ირინე ნანობაშვილი